პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 4 დეკემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 665 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავლე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## საბოლოო გამარჯვება მაინც ესტონეთის პროლეტარიატს დარჩება.

ესტონეთში მოხდა მუშათა აჯანყება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც ჩაქრობილ იქნა მთავრობის მიერ. პირსისხლიანი ესტონეთის ბურჟუაზიის მკაცრმა რეჟიმმა საშინელ პირობებში ჩააყენა მუშათა კლასი.

ესტონეთის პროლეტარიატი მოკლებულია ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს; მისი ეკონომიური მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, აიძულებს მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელს კომპარტიას ებრძოლოს ბურჟუაზიის დიქტატურას.

მაგრამ ესტონეთის ბურჟუაზიაც სასტიკი და ულმობელია რევოლიუციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ის არ ინდობს არავის და სასტიკად უმასპინძლდება ყველა მოწინააღმდეგეებს.

ამის საუკეთესო მაგალითი იყო, ამ დღეებში დასრულებული 149 კომუნისტის გასამართლება ესტონეთში.

სწორედ ამ გასამართლების დროს გამოაშკარავდა ესტონეთის ბურჟუაზიის ბატონობის მთელი სისასტიკე და სისაძაგლე.

იმისთვის, რომ კომუნისტ ტომპმა „შეურაცხყოფა" მიაყენა ბურჟუაზიულ სასამართლოს, ის დახვრეტილ იქნა. არა უკეთესი ბედი ეწვია დანარჩენ ბრალდებულებსაც. ბურჟუაზიულ სასამართლომ მათ მიუსაჯა საერთო ჯამით 1500 წელი საპყრობილეში ყოფნა.

რასაკვირველია, შეუძლებელი იყო ყოველივე ამისთვის პასუხი არ გაეცა ესტონეთის მუშათა კლასს.

კომპარტიის ხელმძღვანელობით მან ხელი მოკიდა იარაღს და ესტონეთის დედა ქალაქ რეველში მოახდინა შეიარაღებული აჯანყება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ.

თუმცა ჯერჯერობით არავითარი დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება ამ აჯანყების შესახებ. ვინაიდან ყოველგვარი კავშირი ესტონეთთან შეწყვეტილია, მაგრამ ის ...ტარი რადიო ცნობა, რომელიც გამოქვეყნდა ჩვენ გაზეთში, საკმაოდ აშუქებს აჯანყების ბედს.

რადიოს გადმოცემით აჯანყება ჩაქრობილ იქნა მთავრობის მიერ.

ამრიგად ჩვენს წინაშე მოხდა კიდევ ერთი დამარცხება მუშათა კლასის.

ეს ასეც მოხდებოდა, ვინაიდან, როგორც საერთაშორისო, ისე შინაური პირობები არ იყო ხელსაყრელი გამარჯვებისათვის.

ეს უდროოვოთ გამოსვლა განზრახ გამოიწვია ესტონეთის ბურჟუაზიამ, რომ უფრო მეტად გაენადგურებია რევოლიუციის ძალები. ჩვენ ვიცით, რომ ამ აჯანყების შემდეგ უფრო სასტიკი და დაუნდობელი იქნება ესტონეთის ბურჟუაზია, როგორც მუშათა კლასის მიმართ, ისე კომპარტიის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ გამოსვლას მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თავისი აჯანყებით ესტონეთის მუშებმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს საერთაშორისო პროლეტარიატს, რომ ისინი ხელებ დაკრეფილი არ არიან და მათ შესწევთ უნარი ბურჟუაზიის შემოტევას შეტევით უპასუხონ.

მართალია ესტონეთის რევოლიუციონერები დამარცხდენ, მაგრამ ეს დამარცხება დროებითია.

დეე, ესტონეთის ბურჟუაზიამ იზეიმოს თავისი გამარჯვება, მაგრამ მისი ზეიმი ხანგრძლივი არ იქნება.

ვერავითარი რეპრესიებით, საპყრობილეებით და დახვრეტით ის ვერ მოსპობს ესტონეთის მუშათა კლასის რევოლიუციონურ ძალ ას.

თავისი სისასტიკით ის მხოლოდ გააძლიერებს კომუნისტურ მოძრაობას.

დადგება დრო, როცა გამარჯვების დროშა იქნება ესტონეთის პროლეტარიატის და მშრომელი ხალხის ხელში.

მაშინ ყველაფერი ერთი ორად გადახდება ესტონეთის ბურჟუაზიას.

ეს დრო შორს არ არის.

## საბჭოთა კავშირი რკინის გზების კავშირის საერთაშორისო კონფერენციაზე.

საბჭოთა კავშირი მიიწვიეს რკინის გზების კავშირის საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც გამომუშავებულ უნდა იქნას საბაჟო წესები საერთაშორისო ნორმებთან შეფარდებით. კონფერენცია შესდგება მიუნხენში.

## რუმინეთის ბურჟუაზია ჭორებს ავრცელებს საბჭოთა კავშირის შესახებ.

### გლეხინტერნმა წინადადება მისცა—გამოგზავნეთ კომისია რომ დარწმუნდეთ სინამდვილეში.

რუმინეთის ბურჟუაზია გაცხარებულ კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გლეხთა ინტერნაციონალმა მიმართა რუმინეთის გლეხთა პარტიის მთავარ საბჭოს, რათა გამოაგზავნონ საბჭოთა კავშირში გლეხთა დელეგაცია კავშირის გლეხობის უფლებრივ და ეკონომიურ მდგომარეობის გასაცნობად.

## ესტონეთში მომხდარ აჯანყების შესახებ.

### რეველიდან ცნობები არ მოდის.

უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში როსტას არავითარი ცნობები არ მიუღია რეველიდან ესტონეთში მომხდარ აჯანყების შესახებ.

საბჭოთა კავშირის და ესტონეთის საზღვრებზე დადის სხვა და სხვა ხმები, მაგრამ სწორი ცნობები ჯერ ჯერობით არ არის. ამის მიზეზია ქალაქ კინგისენსა (ესტონეთში) და რეველს შორის ტელეგრაფის ხაზის გადაჭრა.

მიღებულია ზომები ცნობების მისაღებად.

### უკანასკნელი ცნობები აჯანყების შესახებ.

ვოლფის სააგენტო იუწყება:

„შეიარაღებულმა კომუნისტებმა დაიკავეს სადგური და სცდილობდენ სახელმწიფო დაწესებულებების ხელში ჩაგდებას. მოკლულ იქნა მრავალი პოლიციელი. შეტაკების დროს ისროდენ ტყვიამფრქვევიდან. რამოდენიმე საათში სრულიად გასწმინდეს სადგურის შენობა ჯარებისაგან.

გზათა მინისტრი დახვრეტილ იქნა ქუჩაში. გამოცხადებულია სამხედრო წესები. ამ ჟამად მშვიდობიანობაა.

### დაწვრილებითი ცნობები ესტონეთში მომხდარ გამოსვლების შესახებ.

### ჯალათებმა შეუდგა რევოლიუციონერთა ხვრეტას.

რეველში მუშათა კლასი შეეცადა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება.

აჯანყებულები თავს დაესხენ სხვა და სხვა დაწესებულებებს, დაიკავეს ზოგიერთი საპოლიციო რაიონები, სადგური, ფოსტა, ტელეგრაფი, სახელმწიფო კრების შენობა და სხვა. ბრძოლა გაგრძელდა 2 საათი, განსაკუთრებით სამხედრო სამინისტროს შენობისა და სადგურის ახლოს.

2 საათის შემდეგ ქალაქში შეწყდა სროლა ხოლო ქალაქს გარედ კიდევ ისმოდა.

აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდა ჯარები ბრონევიკებით და პოლიცია

### შ ე დ ე გ ი.

მოკლულია 20 და დაჭრილია 40 ჯარის კაცი.

მოკლულთა შორის არიან: 5 ოფიცერი, ხუთი პოლიციელი და გზათა მინისტრი.

მსხვერპლი აჯანყებულთა მხრივ გამოურკვეველია.

იურიევის ახლოს აჯანყებულებმა ააფეთქეს რკინის გზის ხიდი.

მთელ ესტონეთში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

მთავარ სარდლად დანიშნულია გენერალ ლაიდონერი.

დაარსებულია სამხედრო-საველე სასამართლოები.

ჯერ-ჯერობით დაპატიმრეს 100-მდე აჯანყების მონაწილე.

სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრეტილ იქნა 20 კაცი.

## რეაქციის გაძლიერება უნგრეთში.

უნგრეთის ნაციონალურ კრებაზე მომხდარ ამბების გამო, მთავრობამ გააძლიერა რეაქცია. აკრძალულია მუშათა ყოველგვარი კრება. ჯარები მზად არიან. მუშათა უბნებში გაძლიერებულია პოლიციის რაზმებია. 14 სოციალ დემოკრატი გაძევებულ იქნა ნაციონალურ კრებიდან.

სოციალ დემოკრატები მოუწოდებენ მუშებს დამშვიდებით და გულგრილად შეხვდენ მთავრობის პროვოკაციულ ზომებს

დემოკრატების ოპოზიციონურმა ბლოკმა პროტესტი განაცხადა მთავრობის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ.

## ფაშისტების ლიკვიდაცია მალე მოხდება.

### რესპუბლიკანელები მოითხოვენ იტალიას უმეფოდ,

იტალიაში დიდი ბრძოლა სწარმოებს ფაშისტებსა და ოპოზიციის (მოწინააღმდეგებს) შორის.

ფაშისტური გაზეთები განსაკუთრებით ილაშქრებენ რესპუბლიკანური პარტიის წარმომადგენელის ფატინეტის წინააღმდეგ, რომელიც გამოვიდა ლოზუნგით—„იტალია უმეფოდ".

ფაშისტური გაზეთები ილაშქრებენ აგრეთვე მუსოლინის მთავრობის ყოფილ მინისტრ ცეზაროს წინააღმდეგ, რომელმაც ერთ მიტინგზე განაცხადა: „ლეგალური თუ არა ლეგალური გზით მშვიდობიანად თუ ძალდატანებით ამ მოკლე დროში მოხდება ფაშიზმის ლიკვიდაციაო".

## არ მოეწონათ პერსელის განცხადება სიმართლის შესახებ.

„დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს: „საბჭოთა კავშირის პასუხი ინგლისის ნოტაზე არ იწვევს დიდ ინტერესებს დიპლომატიურ წრეებში. შეიძლება საჭირო იყოს გაუგზავნოს ინგლისის მთავრობამ მოსკოვს წერილი, რომელშიაც მტკიცედ იქნება გატარებული ბრიტანეთის თვალსაზრისი.

ზედმეტი არ იქნებოდა აგრეთვე სერიოზული ყურადღება მიქცეოდა პერსელისა და კამპანიის განცხადებას „ზინოვიევის წერილის" შესახებ.

## ღირსეული პასუხი ინგლისის თავხედურ ნოტაზე.

### სპარსეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს მის შინაურ საქმეებში ინგლისის ჩარევის გამო.

მეჯლისის წრეებში დადის ხმები, რომ სპარსეთის მთავრობამ უკან დაუბრუნა ინგლისის მთავრობას ნოტა, რომელიც ეხებოდა შეიხ გეზალის მთავრობას და რომ ვითომც ინგლისმა მიიღო უკან ეს ნოტა იმ პირობით, თუ ამის შესახებ არავინ გაიგებსო.

რაც შეეხება ინგლისის ნოტის პასუხს, სამხედრო მინისტრმა რიზა ხანმა დეპეშა გამოუგზავნა ფრონტიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ინგლისის მთავრობას გაეგზავნოს პროტესტი სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩარევისთვისო.

## პრემიერი-ქარხნის პატრონი.

## ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲚᲓᲣᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ.

დიდი ინტერესი გამოიწვია მუშათა გაფიცვებმა ქარხანაში, რომელიც ეკუთვნის „ბალდუინ ენდ კამპანიის"-ს საზოგადოებას. ამ საზოგადოების მეთაური არის ინგლისის პრემიერი ბალდუინი.

მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას, მაგრამ ადმინისტრაცია პროფკავშირთა დელეგატებსაც კი არ ღებულობს მოსალაპარაკებლად.

## ᲚᲝᲘᲓ-ᲯᲝᲠᲯᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ.

2 დეკემბერს თემთა პალატაში მოხდა სხდომა, რომელზედაც თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ძველი პალატის თავმჯდომარე ვაიტლი, ლიბერალური ფრაქციის ლიდერად პარლამენტში—ლოიდ-ჯორჯი.

## პარიზის გაზეთები საბჭოთა კავშირის შესახებ.

## ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲠᲐᲡᲘᲜᲘᲗ.

პარიზის გაზეთები ათავსებენ კრასინთან საუბარს და კმაყოფილებით აღნიშნავენ კრასინის განცხადებას იმის შესახებ, რომ მისი საფრანგეთში მისვლის მიზანია იმუშაოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების საქმეში.

## ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ.

ინგლისური გაზეთი „ნიუოვო პოეზე" განმარტავს საბჭოთა კავშირის ნოტებს და ამბობს: „თუმცა საბჭოთა კავშირი კლავ მოითხოვს „ზინოვიევის წერილის" ისტორიის გამორკვევას, მაგრამ მისი პასუხი გვიმტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობის ტაქტიკა შეცვლილია.

მოლაპარაკების განახლებას ხელს შეუწყობს მხოლოდ პასუხის რბილი კილო.

## ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

შვეციაში მოხდა საპროტესტო მიტინგი ესტონეთის ჯალათების წინააღმდეგ.

სკანდინავიის კომპარტიის კონფერენციაზე გამოტანილი რეზოლიუცია გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „პოლიტიკენ"-ში. რეზოლიუცია მოუწოდებს მუშებს ესტონეთის ჯალათების წინააღმდეგ საბრძოლველად.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲐᲜ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.

რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე ირჩეოდა საკითხი მეფის დროის სესხის შესახებ.

ყრილობამ მიიღო წინადადება ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ჯერ ერთი რომ ეს ვალები უნდა იქნას აღდგენილი ოქროს ფულით და ნაწილი—გადახდილი ფულად, ხოლო დანარჩენი უნდა გასწორდეს ათი წლის განმავლობაში.

მეორედ საბჭოთა კავშირმა უნდა მისცეს ვალების გადახდის გარანტია და ამას გარდა დახმარება გაუწიოს საფრანგეთს სამრეწველო საზოგადოებათა აღდგენაში, რომლებიც წინად იმყოფებოდენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

## ᲝᲠᲘᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲐ.

სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დაადგინა მიანიჭოს საარჩევნო ხმის უფლება სამხრეთ-სლავიაში მყოფ რუს ემიგრანტ თეთრგვარდიელებს.

## ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲔᲜ ᲪᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ.

საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი პირები განაგრძობენ ცილის წამების კამპანიას და კრასინთან საუბრის შემდეგ ათავსებენ გაზეთებში ამონაწერს ზინოვიევის სიტყვებიდან. გავასის სააგენტოს ცნობით ზინოვიევს თითქოს ეთქვას, რომ „ჩვენ ვიცნობთ საფრანგეთის ხალხს, როცა ის ხიშტებით შეუტევს თავის მთავრობას" და კიდევ „საფრანგეთი და ინგლისი ერთ კაპიკსაც ვერ მიიღებს საბჭოთა კავშირისაგანო"-ო.

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

მოწერილი იქნა ინგლისსა და გერმანიის შორის სავაჭრო და საზღვაო ხელშეკრულება.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ.

## ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

მუშა-ქიმიკოსების ყრილობაზე დობროვოლსკიმ მოხსენება გააკეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან როგორც სჩანს ქიმიური მრეწველობის მუშაობა ამ უკანასკნელ წელში საგრძნობლად გაზრდილა. ის უდრის ომამდე არსებულის 50 პროც.

შრომის ხელფასი ხსენებულ სამრეწველოებში საშუალოდ უდრის ომამდე არსებულის 80 პროც.

**ამხ. რადეკის მოხსენება.**

2 დეკ. ტრანსპორტის მუშათა საერთო საკავშირო ყრილობაზე 1 დეკემბერს ამხ. რადეკმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

## ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

2 დეკემბერს დამთავრდა ტრანსპორტის მუშათა ყრილობა. ყრილობაზე აღნიშნულ იქნა საკავშირო აპარატის გაძლიერება, ადგილებთან კავშირის განმტკიცება, ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება, კავშირის წევრთა პოლიტიკური აქტიურობის ზრდა და სხვა.

არსებით ამოცანად ცნობილ იქნა ბრძოლა ზედმეტ საათებში მუშაობის წინააღმდეგ.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲡᲐᲛᲮᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

1-ლ დეკემბერს დასრულდა საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს პლენუმი.

პლენუმმა გამოიმუშავა ტერიტორიალური აღმშენებლობის გეგმა, წინასწარ აღნიშნულ იქნა ნაციონალურ ჯარის ნაწილების შედგენის პროგრამა, რომელიც წარედგინება განსახილველად საკავშირო მთავრობას.

რეზოლიუციაში აღნიშნულია დაწვრილებითი გეგმა სამხედრო აღზრდა—სწავლების სათანადო დონეზე დასაყენებლად.

პლენუმმა აღნიშნა აგრეთვე საჭიროება სამხედრო და სამოქალაქო მუშაობის შეთანხმებისა.

## ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

### ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის საპატივსაცემოთ.

გუშინ, 3 დეკემბერს, შუადღის 2 საათიდან ყველა წარმოება-დაწესებულებებში შესწყდა მუშაობა. მუშა-მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს თავიანთ წარმოებებში და ადგილკომებთან დროშებითა და ლოზუნგებით. რუსთაველის პროსპექტი აივსო ხალხით.

**მუშათა სასახლესთან.**

მუშათა სასახლის წინ გამართული იყო დიდი ტრიბუნა, რომელზედაც თავი მოიყარა რევოლიუციის ბელადებმა და სადაც გამოვიდა ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაცია. ტრიბუნაზე იყვნენ: საქ. პასუხისმგებელი პროფმომუშავენი, ამხ. ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, მ. კახიანი, შამშე ლეჟავა და სხვები.

დემონსტრანტების რიგებმა დაიწყო დენა. პირველად გაიარა განათლების მუშაკთა კავშირმა, თეატრების თანამშრომლებმა, მგეჭდავებმა, აღმშენებელთა კავშირმა და სხვ.

იყო ლოზუნგები ქართულ-რუსულ-ინგლისურ და სხვა ენებზე.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა აღმოსავლურ მუსიკოსთა კავშირმა, თარები, დუდუკი და სხვა.

ინგლისელი სტუმრები ესალმებოდნენ დემონსტრანტებს ინგლისურათ და ქართულ-რუსულათ, რაზედაც ღებულობდნენ მწყობრ პასუხს.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიდან რიგში მდგარი ერთი სტუდენტი ინგლისურათ მიესალმა დელეგაციას.

დელეგაციას მოკლე სიტყვით მიმართა აგრეთვე ამხ. არაქელ ოქაუაშვილმა. გამოიარეს მწყობრი რიგებით დარაზმულმა რკინის გზელებმა.

დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე ახალგ. პიონერები.

დემონსტრაციები გაგრძელდა საღამოს 6 საათამდე.

მიუხედავათ იმისა რომ ქუჩებში და განსაკუთრებით ტრიბუნასთან აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი, წესიერება მაინც საუცხოვოთ იყო დაცული.

წუხელი, ღამით დელეგაცია გაემგზავრა საქართველოდან.

დ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ.

ოქტომბრის განმავლობაში საბჭოთა კავშირიდან გატანილ იქნა. 24.106.000 მან. საქონელი. შემოტანილ იქნა 19 მილ. 363.000 მან.

მთელი სამეურნეო წლის განმავლობაში გატანილია 383 მილიონი მან. საქონელი, შემოტანილია 207,8 მილ. მან.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ. ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

**ბურჟუაზიულ სასამართლოს „ზეკლასიურობა".**

ალბათ ყველა თქვენგანს გაუგონია სიტყვა სამართალი, და იმ დაწესებულების სახელი, სადაც გამოარკვევენ ხოლმე მართალსა და მტყუანს. ხშირად იქნებოდა შემთხვევა, როდესაც თქვენ, ოჯახის წევრს და ან სხვა ვინმე თანამესოფლეს, რომელსაც ვინმე რამეს დაუმალავებდა, მიუმართავს ამ დაწესებულებისათვის, თავის სიმართლის დასამტკიცებლად და დამნაშავის დასასჯელად. ალბად, ხშირად მოხდებოდა ხოლმე, ასეთი შემთხვევაც, როდესაც გლეხი ცამდის მართალი ყოფილა, მაგრამ სასამართლოში საქმე მის მოწინააღმდეგეს მოუგია. აუცილებლად, ყველა ასეთი შემთხვევების შემდეგ, გლეხებს ეჭვი დაებადებოდათ სასამართლოს სამართლიანობაში, მაგრამ ამაზედ ხომ ლაპარაკი არ შეიძლებოდა, ეს აკრძალული იყო. თანაც მთავრობა სულ იმას სცდილობდა, რომ სასამართლო ყველასათვის მოეჩვენებინა სამართლიანობის გამომხატველ ორგანოთ. ამისათვის მას ბევრი საშუალებანი ჰქონდა. მაშინდელი სკოლა, ეკლესია, პრესა, ყველა მოხელეები და ბურჟუაზიულ სკოლაში გამოზრდილი იურისტები.

ყველა იმას გაიძახოდა, რომ სამართალი ყველასათვის ერთია და კანონის წინაშე ყველა თანასწორი არისო. სასამართლო სიმართლეს ემსახურება და ღარიბსა და მდიდარს ის ერთმანეთისაგან არ არჩევს, ერთი სიტყვით—სასამართლო და კანონი ყველას ინტერესებს ერთნაირად იცავს.

მართალია, თუ არა, რომ სასამართლო ყოველთვის იყო დამყარებული სიმართლეზე, იყო მუდამ მიუდგომელი და ემსახურებოდა სამართლის წმინდა მცნებას? ყველა ამ საკითხებზედ რომ პასუხის გაცემის შესაძლებლობა გვქონდეს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ წარმოიშვა სასამართლო, როგორი იყო ის ფეოდალურ, ე. ი. ბატონყმობის ხანაში, როგორი იყო მისი მოქმედება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რანაირი დამოკიდებულებაა სახელმწიფოს და სასამართლოს შორის და როგორი უნდა იყოს ის პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში.

**საბჭოთა სამართალი კლასიურია.**

სასამართლოს დანიშნულება ჩვენ, მშრომელებს სულ სხვანაირად გვესმის და არა ისე, როგორც ბურჟუაზიას და მის მიერ დაქირავებულ იურისტს. ბურჟუაზიულ სკოლაში გამოწრთვნილი იურისტი ასე ლაპარაკობს: „სამართლის მეცნიერება, არის ისეთი მეცნიერება, რომელიც აუცილებლად სდგას ყოველივე კლასიური ინტერესების გარეშე, ვინც არ უნდა იყოს ის, მუშა—თუ გლეხი, მემამულე, ბურჟუა თუ ინტელიგენტი—ყველას ერთნაირად ემსახურება, ყველას ინტერესს ერთნაირად იცავს." მაგრამ, განა სიტყვა: სამართალი და სიმართლე ყველას ერთნაირად ესმის? განა ყველა ის, რაც გლეხისათვის უაღრეს ჭეშმარიტებას წარმოადგენს—მემამულესაც შეუძლია ჭეშმარიტებად მიიღოს? განა ყველა ის, რაც მისაღები და სიმართლეა მუშა-პროლეტარისათვის, შეიძლება იყოს მისაღები და სიმართლე ბურჟუა-მექარხნესათვის? რასაკვირველია არა და ამისათვის ვამბობთ: „სახელმწიფო არის ძალდატანების იარაღი გაბატონებული კლასის ხელში, მიმართული საბრძოლველად, თავის ბატონობის შესანარჩუნებლად სხვა მოწინააღმდეგე კლასებთან. სასამართლო არის ერთი ატრიბუტთაგანი, რომელიც დახმარებას უწევს სახელმწიფოს ამ ბრძოლაში. მოკლეთ: სასამართლო ატარებს კლასიურ თვალსაზრისს, ბურჟუაზიის ბატონობის დროს ის ემსახურება და იცავს მის ინტერესებს და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ, ის პროლეტარული უნდა იყოს და ემსახურებოდეს ამ უკანასკნელის კლასიურ ინტერესებს.

(შემდეგი იქნება).

დ. ხიხაძე.




# მოგვეცით შენობა.

ის შენობა, რომელშიაც ამ ჟამად მოთავსებულია სამხედრო პოლიტიკური სკოლა, სრულიად შეუფერებელია და უვარგისი სკოლისათვის.

დიდი ამოცანები უძევს სკოლის წინ. მან უნდა მოამზადოს წითელი ჯარის ხელმძღვანელები. კურსანტებს კარგათ აქვთ შეგნებული თავისი მომავალი მუშაობისა მთელი სირთულე და სიმძიმე; ისინი არ ზოგავენ მთელ თავის ძალ-ღონეს, რომ შეიძინონ საჭირო ცოდნა და გაამართლონ მათზე დამყარებული იმედები, მაგრამ თუ ისინი არ იქნებიან კარგ საცხოვრებელ პირობებში, უეჭველია დასახულ მიზანს ვერ მიაღწევენ. მთავარი, რაც აწუხებს დღეს კურსანტებს, ეს შენობის უვარგისობაა. შენობა არ შეეფერება სკოლას. საკლასო ოთახები, სადაც მიმდინარეობს მეცადინეობა, აფიცრულია თხელი ფიცრით, ისე რომ ხმა დაბალი ლაპარაკიც კი გადის ერთი ოთახიდან-მეორეში. არა გვაქვს ოთახები, რომ მოვაწყოთ სხვა და სხვა კაბინეტები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ჩვენთვის.

არა გვაქვს შენობა კლუბისთვის, რომ ვაწარმოოთ მასიური მუშაობა და შევეჩვიოთ ამ მუშაობას, გავეცნოთ მის მეთოდებს.

ყველა ეს დიდი ნაკლია ჩვენი სკოლის და სულ მალე უნდა იქნეს გამოსწორებული.

სამხედრო პოლიტიკურ სკოლას უნდა მიეცეს შესაფერისი შენობა. ამას მოითხოვს ჩვენი ჯარის ინტერესები.

ე ხუციშვილი

# პური ცუდათ გამომცხვარი გვეძლევა.

**პირველი მესანგრეთა ასეული.**



პირველ დივიზიის ცალკე მესანგრეთა ასეულში თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ცუდი, გამოუშუშარი პურის დარიგება. წითელ-არმიელები ხშირად სჩივიან ავადმყოფობის შესახებ.

ცუდათ გამომცხვარი პური ვნებსაც იწვევს თუ დროზე არ მიექცა ყურადღება.

საჭიროა ამ მოვლენას ეხლავე მოეღოს ბოლო და შემდეგისათვის გაფრთხილებული იქნეს პურის მცხობელი, რათა მან პირნათლად შეასრულოს თავის მოვალეობა.

სამხედრო მურზაკი.

# კაში არ ვარგა, გამოგვიცვალეთ.

**არტ. ცხენოსანი ლეგიონი.**

ამ ბოლო ხანებში ჩვენი ცხენოსანი ლეგიონის წითელ არმიელები ცოტა უკმაყოფილოდ გრძნობენ თავს.

პური ტალახივით და გამოუცხობელი გვეძლეოდა, კაში კიდევაც შავი, რომელსაც ვერ შეჭამს ადამიანი.

ამის შესახებ მივმართეთ ლეგიონის მესვეურებს და ვსთხოვდით მიეღოთ ზომები, რათა ეს ნახევრად გამოუცხობელი პური და შავი უვარგისი კაში კეთესით შეეცვალათ, ანდა პურის მცხობელი აეძულებიათ რომ ნაც კარგად გამოეცხო პური, შავი კაში კი როგორმე თეთრზე გადაეცვალათ.

პირველი ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნა და ამ ჟამად პური კარგად გამომცხვარი გვეძლევა, მხოლოდ კაშის გაუმჯობესებას კი საშველი არ დაადგა.

თითქმის ათი დღეა, რაც ეს სრულიად უვარგისი — შავი ტალახივით კაში გვიმზადდება, რასაც სიახლოვეს ვერ ვეკარებით და უჭმელი ვრჩებით მთელი ღამეები.

ამხ. სამნეო ნაწილის უფროსო, გაგვიუმჯობესე კაში.

შეუძლებელია არმიელების კვება ასეთი ტალახისებური კაშით.

დ. ზეფრაშვილი.

# სამაგალითო მომუშავე.

მეექვსე ტერ-ლეგიონის (ყოფილი მეორე) სამნეო ნაწილის უფროსად არის ამხ. შენგელია. ლეგიონის კეთილ დღეობით ინტერესება და მისთვის ზრუნვა—აი რა ახასიათებს ამ სამაგალითო მუშაკს. ვინ ჩამოსთვლის ყველა იმას, რაც ამხანაგის ინიციატივით გაკეთებულია ჩვენს ლეგიონში. არც ერთი დარგი უყურადღებოთ არ ყავს დატოვებული. განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენს ლეგიონის კლუბისადმი.

ამას წინად კლუბის განათების ხარჯებისათვის მივიღეთ მისგან 50 მანეთი. ასეთი ყურადღებისა და დაუზარებელი მუშაობისათვის, მეექვსე ტერ-ლეგიონის კლუბის გამგეობა ღრმეს მადლობას უცხადებს ამხანაგს.

გაუმარჯოს მის დაუზარებელ მუშაობას ლეგიონის აყვავების საქმეში.

სამხედრო ესმაშვილი.

# რას უნდა მიექცეს ყურადღება?

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, სამსახურის საქმეების გამო მომიხდა ქალაქ სურამში წასვლა. ადგილობრივ აღმასკომშიც შევიარე და ასე შემთხვევით გავხდი ერთი მოვლენის მოწამე:

ერთი მოხუცებული გლეხი იდგა დამდგარიყო კარებში, ქუდი მოეხადა და რაღაც გაუბედავი უკმაყოფილებით ლაპარაკობდა თავისთვის. ეტყობოდა ძლიერ აწუხებდა რაღაცა.

დავინტერესდი, მინდოდა გამეგო მისი გულის წუხილი. მივუახლოვდი და შევეკითხე:

ძია, რა გაჯავრებს და ან რა საქმე გაქვს აქ რომ გაჩერებულხარ?

მოხუცმა ამოიოხრა, შამომხედა და თან ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკა:

ე, შვილოსან, ყველაფერი ტყუილი ყოფილა. როგორ რა მაჯავრებს, შვილი ჯარში წაიყვანეს, სახლში მოხუცი კაცი დავრჩი და გადასახადებს მაინც მთხოვენ. ეს რაღაც ქაღალდი გამომიგზავნა და მომწერა ცოტა შეღავათს მოგცემენო და მე კი ყურადღებას არავინ მ ქცევს.

როდესაც მე მოვსთხოვე ეჩვენებია ჩემთვის მოწმობა, აშკარად შეატყობდით თუ როგორი სიხარულის ღიმილმა გადაჰკრა სახეზე და თან უბიდან ამოიღო ქაღალდებში განსაკუთრებული მზრუნველობით გახვეული მოწმობა.

მოწმობა გაცემული იყო უნცროს მეთაურთა სკოლიდან. მოხუცის შვილი ჩვენი სკოლის კურსანტი აღმოჩნდა, რამაც ძლიერ მასიამოვნა.

მე წავიყვანე გლეხი აღმასკომის თავმჯდომარესთან, რომელმაც დააკმაყოფილა მისი განცხადება.

რად ჩავარდნილიყო მოხუცი სასოწარკვეთილებაში? შვილისაგან გაგზავნილი მოწმობა მას უადგილო-ადგილზე მიეტანა. ცხადია, იქიდან უარით გამოისტუმრებდენ მას. აქ რათქმა უნდა ადგილობრივ ადმინისტრაციასაც მიუძღვის დანაშაული, რომ გლეხს არ მოასწავლეს თუ სად უნდა მიემართა, მაგრამ უმთავრესათ წითელ-არმიელებმაც ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

როდესაც ისინი უგზავნიან თავის მშობლებს ასეთ მოწმობებს, ისიც უნდა მისწერონ, თუ სად უნდა მიიტანონ ის. ნაწილში ამის გაგება ყოველთვის ადვილად შეიძლება ცნობათა ბიუროს საშვალებით.

შემდეგ არმიელებმა ისიც უნდა აცნობონ მშობლებს, რომ მოწმობასთან ერთად საჭიროა განცხადების შეტანაც, ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებში. თუ ასე მოვიქცევით ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან იქნება აცილებული.

დ. ჭანკვეტაძე.

# ამაზე რას იტყვით?

მეხუთე ლეგიონის ბატარეას ყოფილმა პოლიტხელმა ამხ. ბუკუჩავამ ივლისის თვის ჯამაგირებიდან დაგვიჭირა 13 მანეთი ჩვენი ვალების გასასტუმრებლად. ფული უნდა გადაეცა ქუთაისში ერთ მედუქნე სილაგაძისთვის. ამ დროს ხსენებულ ლეგიონის (ამ ჟამად კი პირველ ლეგიონს შეუერთდა ეს ბატარეია) ბატარეას უფროსები ვიმყოფებოდით საბანაკოდ ვაზიანში. სამნეო ნაწილის უფროსს აღნიშნული თანხა ძიძიგურისა და ეგნატაშვილის ჯამაგირებიდან გადაუცია ივლისშივე პოლიტხელ ბოკუჩავასთვის.

ამ ჟამად ხსენებული მედუქნე გვწერს, ფულს რად არ მიგზავნითო.

რას გავს ეს, პოლიტხელო ბოკუჩავა? ნუ თუ დასაშვებია ასეთი საქციელი პასუხისმგებელ ამხანაგებისგან მაინც, სხვას რომ თავი დავანებოთ?

განა იმისთვის დაგვიკავეთ ჯამაგირებიდან 13 მანეთი ასე მოქცეულიყავით?

ამის შემდეგ თვითონ თქვენ გამონახეთ ისეთი სახელი, რომელიც ასეთი საქციელის ჩამდენს ეკუთვნის.

ჩვენ კიდევ მოვითხოვთ, აღნიშნული თანხა გადასცეთ დანიშნულებისამებრ, ან გადმოგვიგზავნოთ ბატარეაში.

ძიძიგური.

# სამაგალითო დახლოვება.

**მესამე ტერლეგ. 3-მე ათასეული.**

როგორც კი ჩავიდა ჩვენი ათასეული ახალციხეში მაშინვე მიღებული იქნა ზომები, აქვე მყოფ რუსულ სანაპირო რაზმთან დაახლოვებისათვის.

რუსული სანაპირო რაზმი სიხარულით შეეგება ჩვენს ასეთ გადაწყვეტილებას და მას აქეთ გაიბა ჩვენს შორის მჭიდრო კავშირი.

ჩვენი ჩასვლის მესამე დღესვე გვესტუმრენ აღნიშნული რაზმის უფ-პოლიტ შემადგენლობა და წითელ არმიელები.

ერთმანეთისადმი მისალმების შემდეგ, გაიმართა საუბარი. ჩვენმა არმიელებმა წაიყვანეს რუსი არმიელები და ჩამოარონიეს ყაზარმები, აჩვენეს ლენინის კუთხეები და სხვა.

მეორე დღეს კი ჩვენ მივეწვია სანაპირო რაზმმა თავიანთ ყაზარმების და კუთხეების დასათვალიერებლად.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს არმიელებზე აღნიშნული რაზმის წითელმა კუთხეებმა. მშვენივრად მოწყობილი, საუცხოვო პლაკატები, სისუფთავე და შესაფერი ლიტერატურის სიუხვე ძლიერ მიმზიდველად ხდის მათ.

არა ნაკლები ყურადღებით ათვალიერებდენ ამხანაგები რაზმის სამხედრო მსროლელთა ლაბარატორიას.

—კარგი იქნება ჩვენც მოვაწყობდეთ ასეთსო. გაიგონებდით ჩვენი არმიელებისაგან.

7 ნოემბერს გამართული სადღესასწაულო მიტინგის შემდეგ რაზმი მოვიპატიჟეთ სადილზე. მეორე დღეს კი მიგვიპატიჟეს ჩვენ და იშვიათ მხიარულებაში ჩავატარეთ დიდი ოქტომბრის დღესასწაული.

მრავალი სიტყვები წარმოითქვა სადილებზე.

რუს ამხანაგები ხაზგასმით აღნიშნავდენ, თუ რა ადვილი შესაძლებელი ყოფილა კავკასიის პატარა ერებმა მეგობრული განწყობილება იქონიონ ერთმანეთთან, მხოლოდ საჭიროა კავკასიას პატრონობდეს მშრომელთა ნებაო.

ამნაირად რუს ამხანაგებთან ძლიერ კარგ განწყობილებაში ვართ. ხშირად ვეხმარებით ერთმანეთს სხვა და სხვა საკითხების გარკვევაში და საერთოდ კი ორივე ნაწილები ერთმანეთს ვეცილებით ადგილობრივი მშრომელი ხალხის დაახლოებაში.

სამხედრო მეზღვაური.

# ასეთი არმიელები ჩირქს სცხებენ მთელ ლეგიონს.

**ბათუმის მეოთხე ლეგიონი.**

ჩვენი უფ-პოლიტ შემადგენლობა და ექიმები ყოველთვის გვირჩევდენ და გვარიგებდენ ჭკუას, რომ ქუჩის ქალებთან საქმე არ დაგვეჭირა.

საკუთარ ვნებას, რომ თავი დავანებოთ, სხვის წინაშე მაინც ხარ კაცი პასუხისმგებელი. ვინ იცის რა უბედურებას გადაეყრები კაცი ქუჩის ქალებთან ხეტიალით.

როგორც ეტყობა მეოთხე ლეგიონის პირველ ასეულის ზოგიერთ წითელ არმიელებს სრულიად არა სურთ ამაზე ფიქრი და არც უფროსებისა და ექიმების სიტყვებს უჯერებენ.

ისინი ძლიერ ეტანებიან ქუჩის ქალებს და ამას გარდა ლეგიონის წინაშე ისეთ დანაშაულს სჩადიან, რომელიც არაფრით არ ეპატიებათ.

აი მაგალითიც:

7 ნოემბერს ხსენებულ ლეგიონის პირველ ასეულის არმიელი ამხ. გიორგი დარიშნელოვი თავისი ორი ამხანაგით დამთვრალან, გაუხდიათ თავისი მაზარები, „შლემები" და გადაუცვამთ ქუჩის ქალებისათვის, რომ მილიციას არ ეცნო ისინი, და ასე დადიოდენ ქუჩებში.

ამ საქციელის ჩამდენი ამხანაგები ზიზღის ღირსნი არიან ლეგიონის წითელ არმიელებისაგან. ნუ თუ ვერ გრძნობენ ეს ვაჟბატონები როგორ შეურაცყოფას აყენებენ მთელ ლეგიონს და შემდეგ კი პირველ ასეულს თავისი უმგვანო საქციელით?

საჭიროა ჩვენი ლეგიონის უფროსები მიიღებდენ მათ წინააღმდეგ სათანადო ზომებს, თორემ ჭკუის დარიგებით ამ „გმირებზე" ვერ ვიმოქმედებთ.

ასეულის წითელ არმიელებმა კი სათანადო პასუხი უნდა მოსთხოვონ მათ ასეთი სამაგლობისათვის.

ისინი ჩირქს სცხებენ წითელ არმიელის სახელს.

ა. ხუტულაიშვილი

# პარტიული ცხოვრება

## მეთაურთა სკოლის პირველი ასეულის ახ-კომკავშირელებს შორის.

25 ნოემბერს ქართულ მეთაურთა სკოლის პირველ ასეულში შესდგა ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წევრთა კრება, რომელსაც დაესწრენ უპარტიო ამხანაგებიც.

კრებამ მოისმინა ამხ. ამხ. თავაძის და მიქაბერიძის კოლექტიური მოხსენება ახალგაზრდათა კომინტერნის დაარსებიდან ხუთი წლის შესრულების გამო.

მოხსენება უმთავრესად წარმოადგენდა ახალგაზრდათა კომინტერნის ისტორიის გადმოლაგებას ამ ხუთი წლის განმავლობაში და ნაწილობრივ შეეხენ აგრეთვე ხსენებული ორგანიზაციის მოღვაწეობას ბურჟუაზიული ქვეყნების სინამდვილეში და როგორ თანდათან იზრდებოდა მისი გავლენა მსოფლიო მშრომელი ახალგაზრდობის შორის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში.

მოხსენება არ შეიცავდა კომინტერნის მთელი მოღვაწეობის ისტორიას—აქ აღნიშნული იქნა ზოგიერთი საყურადღებო ფაქტები, მაგრამ ის მაინც საკმაოდ შინაარსიანი იყო და სავსებით დააკმაყოფილა ამხ. კურსანტები.

მომხსენებლებს მადლობა გამოეცხადა კრების მიერ და გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ნ. არჩუაშვილი.

# ჩვენი სოფლის ცხოვრება.

**სამუზეუმო ნივთები.**

ახალციხის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ მუზეუმს ისტორიული მნიშვნელობის ყველა საეკლესიო ნივთები.

**სკოლების სასარგებლოთ.**

გორის აღმასკომმა დააწესა გომის სპირტის ქარხნის აქციზზე გადასახადი სოფლის სკოლების სასარგებლოთ.

**სანიტარისათვის.**

თელავის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია თელავის ქუჩებში საქონლის გამოშვება. ქუჩაში გამოსულ საქონლის პატრონს აჯარიმებენ 50 მანეთით.

**უმიწო-წყლო გლეხები.**

ახალციხის აღმასკომის დადგენილებით სოფლების ახლო მდებარე სახოვარი ადგილები დაურიგდებათ უმიწო-წყლო გლეხებს ყანებათ.

**აფთიაქის გახსნა.**

აწყურში (ახალციხის) სამაზრო აღმასკომმა გახსნა აფთიაქი, საიდანაც ღარიბ გლეხებს გაუწევენ დახმარებას წამლებით.

**განსაკუთრებული კვირეული.**

ახალციხის მაზრაში 26 ნოემბრიდან დაიწყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კვირეულის ჩატარება.

# წითელ არმიელთა შემოქმედებანი.

„ტალა" № 13: (პირველ ლეგიონის კედლის გაზეთი).

გაზეთი საკმაოდ დიდი ფორმატის და ლამაზად არის გამოცემული. მასალები მდიდარი და რიგზე დაწყობილი. სარედაქციო კოლეგიის ცდა აშკარა თვალსაჩინოა გაზეთის გაუმჯობესებაში.

პირველ წერილად მიდის ლენინის კუთხეების შესახებ.

წერილი მოკლეა და ამასთანავე საკმაოდ გარკვევით აშუქებს კუთხეების დანიშნულებას და მიზანს.

შემდეგ მიდის უვადოშვებულებაში მიმავალ წითელ არმიელის წერილი.

საკმაოდ მოზრდილია (დაყოფილია თავებად) შონიას წერილი:

„რევოლიუციის სადარაჯოზე". ავტორი საკმაო გამოცდილებას და გულწრფელობას იჩენს.

ლექსები საკმაოდ კარგი ღირსების არიან.

გაზეთს ამშვენებს კვირეული მიმოხილვა გაზეთებიდან და შინაური—ყაზარმული ცხოვრების ამბები.

ბოლოს იუმორი „საპარიკმახეროში" და „კოოპერატივში".

მხოლოდ სურათები და კარიკატურები არ არის.

კარგი იქნებოდა იუმორისტული ნაწყვეტებიც იყოს გაზეთში.

გაზეთის თავში დახატულია მუშა ჩაქუჩით და ნამგალით, რაც სრულიად არ შეეფერება სამხედრო ნაწილის გაზეთს.

უკეთესია გაზეთზე წითელ არმიელი იყოს გამოხატული.

ქვევით დახატულია წიგნი წარწერით. „ისწრაფეთ ცოდნისაკენ, ის დაგიხსნით სიბნელისაგან".

საერთოდ გაზეთი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე თავისი მრავალფეროვანობით.

**სანი.**

# სარწმუნოების წარმოშობა და განვითარება.

**„მითი" გველის შესახებ.**

გველი ადამიანს ერთ დროს წმინდა, საღვთო ცხოველად მიაჩნდა.

მაგალითად საბერძნეთში გველი ტაძარში ჰყავდათ, აპატიებდენ და უვლიდენ. ღმერთმსახურების დროს ის გამოჰყავდათ მღვდლებს საკურთხეველში და წმინდა ნაწილებს, რომელიც უნდა მიეღოთ მორწმუნეებს, წინასწარ გაალოკვინებდენ.

ასეთივე რწმენა იყო გველის შესახებ ეგვიპტეში და მექსიკაში.

გველის შესახებ ადამიანმა შეჰქმნა მრავალგვარი „მითი" (ზღაპრული თქმულება, რომლებსაც სინამდვილესთან არ აქვს კავშირი).

ადამიანის წარმოდგენით გველი ბრძენი ცხოველი იყო. მას ესმოდა ყოველი საიდუმლოება. ზოგიერთ ბრძენ ადამიანს გველის შთამომავლობას მიაწერდენ.

საბერძნეთში დარჩენილია ძველი თქმულება, რომ საბერძნეთის ძველი მეფე ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც მრავალი ქვეყანა დაიპყრო და გააძლიერა სახელმწიფო, გველის შვილი იყო. გველი შეეუღლა ალექსანდრეს დედას ოლიმპიას და ამრიგად დაიბადა ალექსანდრე მაკედონელიო.

ძველად სწამდათ, რომ გველი თავდაპირველად ლაპარაკობდა, მაგრამ როცა მან ადამი შეაცდინა და აკრძალული ხის ნაყოფის ჭამა ურჩია ედემში, ღმერთმა დასაჯა ის—წაართვა ლაპარაკის უნარი, მაგრამ სიბრძნე დაუტოვაო.

გველის შესახებ ჩვენშიაც არის დარჩენილი მრავალი თქმულება.

ამ თქმულების მიხედვით გველს აქვს ძვირფასი ქვა, ალმასი. ისინი ხშირად შეიკრიბებიან სადმე მყუდრო ადგილს, წყლის პირად და ათამაშებენ ალმასს. როცა თამაშობით დაიღლებიან, ალმასს დამალავენ სადმე ქვის ქვეშ და დაიძინებიან.

ამ ალმასს ჩვენში მეორე ნაირად ნატვრის თვალს ეძახიან. თუ კაცმა ხელში ჩაიგდო როგორმე ეს ნატვრის თვალი, ის დიდძალ სიმდიდრეს შეიძენს. ის რასაც ინატრებს, ყველაფერი აუსრულდება. მაგრამ ალმასის მოპარვა მეტად ძნელი და სახიფათოა.

გველები წამსვე გაიგებენ ამას და დაედევნებიან ადამიანს. მაგრამ თუ ადამიანმა წყალზე მოასწრო გასვლა, გველებს კვალი ეკარგებათ და ვეღარაფერს გახდებიან. გველი შეეკითხება მდინარეს—ხომ არავის გამოუვლიაო. მდინარე მიუგებს: არ ვიცი, შენც ახლა მოდიხარ და მეცო.

ხალხის რწმენა გველის სიბრძნის შესახებ მოყვანილი აქვს თავის პოემებში ქართველ პოეტს ვაჟა-ფშაველას. პოემა „გველის მჭამელ"-ში მას აწერილი აქვს მინდიას თავგადასავალი. მინდია ტყვედ ჩაუვარდება ხელში მდევებს. მდევები სჭამენ გველის ხორცს და ამით სიბრძნესა და ძლიერებას იძენენ. მინდიაც შესჭამს ჩუმად გველის ხორცს და ყოველივე საიდუმლოს მისთვის ფარდა ეხდება. ის გაიგებს, რომ ყოველ არსებას, ფრინველებს, ცხოველებს, მცენარეებსა და სხვას ლაპარაკი სცოდნია.

მინდია შეიძენს ამით დიდ სიბრძნეს. მას ესაუბრება მთელი ბუნება. მისთვის არ არსებობს უკვე არავითარი საიდუმლოება.

ლეგენდა გველის სიბრძნესა და ბუნებაზე ვაჟა-ფშაველას გადმოცემული აქვს კიდევ მეორე პოემა „ბახტრიონში". გველი ნახავს მინდვრად დაჭრილ მეომარს, რომელიც შეეცოდება და დაუწყებს მოვლა-პატრონობას. ის რამოდენიმე ხანში სრულიად განკურნავს დაჭრილს. ასეთი იყო ხალხის შეხედულება და რწმენა გველის შესახებ.

დღესაც ზოგიერთ მარკებზე და ღერბებზე სიბრძნის სიმბოლოდ (ნიშნად) აღნიშნულია გველის გამოხატულება.

**№**

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**გამოცდები რადიოს საშვალებით.**

ერთმა ინგლისის პედაგოგმა სტომარდიმ შუამდგომლობა აღძრა რათა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში მოწყობილი იქნეს რადიო მიმღები და რადიო გადამცემი სადგურები. სტომარდი ოცნებობს იმაზე, რომ წაკითხულ ლექციებს სტუდენტები ისმენდენ რადიოს საშვალებით და რადიოთვე ხდებოდეს გამოცდების ჩაბარებაც.

ამ ახლო მომავალში მოხდება პირველი ცდა ამ მიმართულებით. ერთი რადიო სადგური, რომელიც შეერთებული იქნება ინგლისის 200 სასწავლებლებთან, სტომარდის მონაწილეობით აწყობს გამოცდას ისტორიაში. რადიოს საშვალებით ყველა სასწავლებლებში გადაცემული იქნება კითხვები, რომლებზედაც მოსწავლეები გასცემენ წერილობითი პასუხს.

მოწაფეების მუშაობას თვალყურს ადევნებენ მასწავლებლები.

**რკინის გზა აფრიკის უდაბნო სახარაზე.**

სახარა უდიდესი უდაბნოა მთელ დედა მიწის ზურგზე. სახარაზე მოგზაურობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. წყალი იშვიათად თუ სადმე შეგხვდება, ხშირად ამოვარდება საშინელი ქარიშხალი, აიტაცებს ჰაერში უდაბნოს სილას და საშინელ ორომტრიალში ეხვევა მთელი მიდამო.

საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს ამ ახლო მომავალში დაიწყოს რკინის გზის ლიანდაგის გაყვანა ხსენებულ უდაბნოში.

როგორც ვსთქვით სახარა აფრიკაშია, ხოლო ფრანგ-კაპიტალისტებს აფრიკაში აქვთ კოლონიები ე. ი. დამონავებული ქვეყნები. აქედან ცხადია თუ რად ესაჭიროებათ ფრანგ კაპიტალისტებს ეს რკინის გზა.

რკინის გზის ლიანდაგთან ერთად გაყვანილი იქნება არხები წყლისათვის, რომელიც მოხმარდება მატარებლებს და სხვა.

**„სიკვდილის მაშხალა" (რაკეტა).**

ამას წინად ინგლისში გამოიგონეს სიკვდილის მომგვრელი მაშხალა, რომელიც სკდება ჰაერში და იქედან უშვებს გამდნარი ლითონის საშინელ წვეთებს.

მაშხალა ისევე მოქმედობს, როგორც ჯავშანის საწინააღმდეგო ჭურვი. ამიტომ მაშხალას ადვილად შეუძლია გაანადგუროს ჰაეროპლანებიც ფრენის დროს. მაშხალას ვერ უძლებს ვერც ჯავშანი.

**საჰაერო მიმოსვლის რუქა.**

ამერიკაში გამოსცეს საჰაერო მიმოსვლის რუქა, რომელიც თავისი სიდიდით პირველია აქამდე გამოცემულ რუქებზე მთელ მსოფლიოზე.

რუქაზე აღნიშნულია ყველა საჰაერო სადგურები და ყველა დიდი აეროდრომების ადგილ მდებარეობა.

# ახალი ამბები.

— **ქიმოხსაზოში სამუშაოთ.** საქ ქიმოხსაზოს (ქიმიის მოხალისეთა საზოგადოების) პრეზიდიუმმა დაადგინა სამეცნიერო-სატეხნიკო სექციაში სამუშაოთ მოიწვიონ პროფ. მელიქიშვილი, პოპოვი, ნარხაპეტიანი და შალამბერიძე.

— **პოლიტგანყოფილების შუამდგომლობა.** ქართ. 1-ლი დივ. პოლიტგანყოფილების საავიტ.-საპროპ. განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქალ. აღმასკომის წინაშე რათა დაუთმოს მას პოლიტეხნიკუმის ერთ-ერთი შედარებით თავისუფალი დარბაზი, ფიზკულტურის საქმისათვის.

— **„ევკოგრუზის" ყრილობა.** 1925 წლის იანვრის შუა რიცხვებისათვის განზრახულია „ევკოგრუზის" ყრილობის მოწვევა.

— **ქიმოხსაზოს საინსტრუქტ კურსები.** ქიმოხსაზომ დაადგინა აწარმოოს მოლაპარაკება ა. კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის მმართველობასთან ქიმიის უცოდინარობის სალიკვიდაციო, საინსტრუქტორო კურსების მოწყობის შესახებ და შეადგინოს საამისოთ სათანადო ხარჯთაღრიცხვა.

— **წითელი ჯვარი და სახალხო ჯანმრთელობა.** ჯანსახკომი შეუთანხმდა საქ. წითელ ჯვარს, რომლის ძალითაც წითელი ჯვარი ვალდებულებას ღებულობს აღმოუჩინოს საექიმო დახმარება ულარიბეს რაიონების მცხოვრებთ.

— **გლეხთა სასახლის მოსაწყობათ.** მიწა-ტყის კავშირთან არსებული სამეცნიერო ძალთა ბიურო აწყობს საავიტაციო კომპანიას გლეხთა სასახლის მოსაწყობათ.

— **უმუშევრების დასახმარებლათ.** მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში ტფ. დამზღვევ კასას უმუშევრების დასახმარებლათ დაუხარჯავს 79.117 მანეთი.

— **ხარჯები დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებზე.** ტფილისის დამზღვევმა კასამ გადასცა დაზღვეულთა განყოფილებას დაზღვეულთა საექიმო დახმარებისათვის იანვრიდან ოქტომბრამდე 306.290 მანეთი.

# სპორტი.

**ხარკოვის ფეხბურთელთა განწევრი სახ. უნივერსიტეტის განწევრის წინააღმდეგ.**

სამშაბათს, 2 დეკემბერს, ხარკოვის განწევრს შეხვდა თბილისის უძლიერესი განწევრი— სახ. უნივერსიტეტისა. ხარკოვის განწევრი იმთავითვე მეტად სერიოზულად ეპყრობოდა თავის მოწინააღმდეგეს, რადგანაც მასში ხედავდა ძლიერ განწევრს. აღსანიშნავია, რომ სახ. უნივერსიტეტის განწევრი მიუხედავად სახელოვან და საშიშ მოწინააღმდეგისა პირველ ნახევარში თამაშისა ის შეტევაზე გადადიოდა. ამ დროს მოწინააღმდეგე უფრო იცავდა თავს, ვიდრე უტევდა. და მას აკვირვებდა კიდეც ახალგაზრდა განწევრის ასეთი სიმამაცე. შთაბეჭდილება ისეთი იქმნებოდა თითქოს სახ. უნივერსიტეტის განწევრს თუ არ მოეგო თამაში უეჭველად მაინც უნდა გაეთავებია. მაგრამ მას მეტად მტკივნეული ადგილი აღმოაჩნდა, ასე ვსთქვათ თავისი „აქილესის ქუსლი."

მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად მიუტანია ბურთი მოწინააღმდეგის კარებთან მაინც ვერც ერთხელ ვერ გასტეხა კარები, რადგან ამ დროს მას საკმაო ძალა არ ჰყავდა კარებთან უკანასკნელ, გადამწყვეტ შეტევისათვის და თითქმის მიწურული მსვლელობა თამაშის უკანვე იხევდა. ეს დანაკლისი ვერ გამოასწორა სახ. უნივ. განწევრმა მთელი თამაშის განმავლობაში და ამან უმთავრესად გადასწყვიტა მათი ბედი.

აქვს კიდევ ერთი დიდი დანაკლისი ჩვენს განწევრს. ეს არის ე. წ. „ფასონი." ის ცდილობს რაიმე ლამაზი ნომერის გაშვებას, ძლიერ დაკვრას, გაფრენილ ბურთის დაწევას, თუმც მისი იმედი არც ქონდეს, ხოლო მოწინააღმდეგე არც ერთ მისხალს ზედმეტ ენერგიას არ ხარჯავს და არც ცდილობს ლამაზი ნომერის გად მოგდებას. ის ერთგვარად დარ ბაისლადაა ყოველ მდგომარეო ბაში და არც პირველი მარცხ ჩააგდებს მას სასოწარკვეთილე ბაში. ეს შეიძლება იმითაც ა ხსნეს, რომ მას უნახავს „ს ნახავი". მასში სასტიკადაა გ მეფებული ის ქვემცნობიერ სოლიდარობა, რომელიც ა ლია მის მოწინააღმდეგეს. ეს მისი გარდაულახავი სიძლიერ მიუხედავად ასეთი უპირატესო ბისა ხარკოვის განწევრმა მხო ლოდ ორი ლელოს გატან შესძლო.

ხარკოვის განწევრს, რო გორც ამბობენ, ოთხი ლელო იმედი ჰქონდა. ხოლო ვინ კი სახ. უნივერსიტეტის გა წევრს იცნობს ის იმედოვ შეჯიბრის უეჭველად დამთა რებას ყოველ შემთხვევაში მ გრამ არც ორი წაგებული ლ ლო შეიძლება ჩაეთვალოს სა უნივერსიტეტს დიდ მარცხა მას ამის პოტენცია გააჩნია თუ მოინდომებს შეუძლია დ მიღწევებამდი მავიდეს, რომ მელიც მოუხვევს მას სახე ერთ ერთ უპირველესს განწ ვრისას მთელს საბჭოთა კავშ რში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეც იქნება თუ რაიმე მო ლოდნელი ხელის შემშლე პირობები არ გადაეღო მას.

ღირსეული მოწინააღმდე კი მაინც დიდი პატივისცემ ღირსია, მიუხედავად იმის რომ მან ამ შემთხვევაში სა მაოდ უხეში ნომრები იხ რა.

**ს. ძ.**